საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2020

IV კვარტალი

05.03.2021

www.geostat.ge

05.03.2021

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2020 წლის IV კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.1 პროცენტით გაიზარდა და 32.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

კლების ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი. 2020 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 12.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 7.3 პროცენტით ნაკლებია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2020 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 60.9 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.1 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 22.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.6 პროცენტი, საშუალოზე - 27.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31.7 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2020 წლის IV კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2020 წლის IV კვარტალში 18.0 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.6 პროცენტით ნაკლები), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 11.0 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.0 პროცენტით ნაკლები).

2020 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 641.6 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 10.1 პროცენტით ნაკლებია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.1 პროცენტი ქალია, ხოლო 58.9 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.8 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 609.0 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 9.6 პროცენტით ნაკლები). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 637.8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.9 პროცენტით ნაკლები).

2020 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 417.0 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 12.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1070,1 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 21.8 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 439.6 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 1 632.6 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 228.4 ლარი.

05.03.2021

2020 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 35.9 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 31.3 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.3 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 7.8 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.5 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება -3.0 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 8.1 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2020 წელი IV კვარტალი



2020 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (23.7 პროცენტი) და მშენებლობა (21.6 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 8.4 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 28.5 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2020 წელი IV კვარტალი



05.03.2021

2020 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.6 პროცენტი, 13.3 პროცენტი და 11.2 პროცენტიანი წილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (10.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (7.7 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (4.1 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2020 წლის IV კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**31 390.1**	**32 046.6**	**102.1**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	150.8	165.9	110.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	248.3	317.0	127.7
დამამუშავებელი მრეწველობა	2 908.5	2 983.7	102.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	981.6	958.4	97.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	78.5	60.4	76.9
მშენებლობა	2 586.4	2 510.8	97.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	12 059.9	11 520.6	95.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 797.2	1 457.0	81.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	531.0	234.9	44.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	229.7	53.5	23.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	301.4	181.4	60.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	517.4	540.7	104.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	439.4	296.5	67.5
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	521.0	380.5	73.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	356.9	146.7	41.1
განათლება	124.7	131.4	105.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	291.4	293.4	100.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	7 755.0	10 019.2	129.2
სხვა სახის მომსახურება	42.3	29.6	69.9

05.03.2021

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2020 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2019 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**13 362.6**	**12 382.8**	**92.7**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	156.0	171.9	110.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	248.5	314.1	126.4
დამამუშავებელი მრეწველობა	2 788.5	2 935.6	105.3
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	406.5	414.0	101.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	84.1	68.7	81.6
მშენებლობა	2 795.5	2 676.2	95.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 265.0	2 197.1	97.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 291.5	1 042.9	80.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	529.0	248.8	47.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	229.3	67.5	29.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	299.7	181.3	60.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	503.9	508.8	101.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	442.1	295.3	66.8
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	428.2	330.0	77.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	247.0	130.9	53.0
განათლება	130.1	138.2	106.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	506.1	524.1	103.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	499.2	359.6	72.0
სხვა სახის მომსახურება	41.2	26.6	64.5

05.03.2021

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2020 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2019 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტალი	2020 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**713 899**	**641 577**	**89.9**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 594	11 272	97.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 293	8 828	106.4
დამამუშავებელი მრეწველობა	89 848	85 240	94.9
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 318	15 577	101.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 225	14 593	102.6
მშენებლობა	72 573	67 714	93.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	188 566	170 388	90.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	57 622	49 705	86.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	40 621	26 421	65.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	15 805	9 606	60.8
საკვებით და სასმელებით მომსახურება	24 816	16 816	67.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	24 842	23 968	96.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	20 581	17 612	85.6
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	25 342	22 346	88.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23 450	18 841	80.3
განათლება	24 345	24 103	99.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	71 824	71 947	100.2
ხელოვნება, გართობა და დასვენება	16 238	7 024	43.3
სხვა სახის მომსახურება	8 618	5 999	69.6

რეგიონების მიხედვით **მთლიან ბრუნვაში** ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 79.5 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 4.2 პროცენტი,
- იმერეთი – 3.0 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.7 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის **მთლიან გამოშვებაში** ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 63.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი –8.9 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.1 პროცენტი,
- იმერეთი – 5.0 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.9 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 66.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.5 პროცენტი,
- იმერეთი – 6.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:
   1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
   2. შპს „საქართველოს ფოსტა“
   3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
   4. სს „სილქნეტი“
   5. სს „საქართველოს რკინიგზა“
   6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
   7. სს „საქენერგორემონტი“
   8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები:

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge